



ცვლილება კანონში


შინაარსი

- საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები
- სხვა ცვლილებები კანონში
- ცვლილებები ბრძანებაში
- საჯარო გადაწყვეტილება



2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის პირველი იანვრიდან. აღნიშნული ცვლილებები შეეხება შემდეგ საკითხებს:

+ + + + +
+
+
+



საფინანსო სექტორის მოგების გადასახადით დაბეგვრის წესის განსაზღვრა

ცვლილება პირველ რიგში შეეხება საბანკო-საკრედიტო სფეროს. აღნიშნულ ცვლილებამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით დაიბეგრებოდნენ 2023 წლის პირველი იანვრიდან. ცვლილებამ განსაზღვრა, რომ დროითი განრიგი აღარ დაწესდება და მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევე ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით (97-ე მუხლი, მე-12 ნაწილი).



ასევე, სსკ-ის 98-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს მოგების გადასახადის განაკვეთს, დაემატა ახალი- მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრი მოგება დაიბეგრება 20 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ დაბეგვრა მოხდება მოგების ე.წ. ძველი რეჟიმის თანახმად, შეიცვალა საფინანსო სფეროსთვის სსკ-ით განსაზღვრული შემოსავლისა და ხარჯის კერძოდ, სსკ-ის 141-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს დარიცხვის მეთოდით შემოსავლის მიღების მომენტს, დაემატა ახალი მე-5 ნაწილი, რომელმაც განსაზღვრა, რომ 2023 წლის პირველი იანვრიდან საბანკო დაწესებულებამ, საკრედიტო კავშირმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ სესხებზე დარიცხული პროცენტები შემოსავლად უნდა აღიაროს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. რაც შეეხება სარეზერვო ფონდებში გადარიცხვის გამოქვითვას, სსკ-ის განახლებული 109-ე მუხლის თანახმად, 2023 წლის პირველი იანვრიდან აღნიშნული პირები ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებს გამოიქვითავენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესისა.

სსკ-ის 109-ე მუხლს დაემატა შენიშვნა, რომელმაც განმარტა სესხის მნიშვნელობა ამ მუხლის მიზნებისთვის. კერძოდ, სესხად ითვლება კრედიტი (სესხი), ოვერდრაფტი, აკრედიტივი, საკრედიტო ხაზი, გარანტია ან/და სავალო ფასიანი ქაღალდები, ფაქტორინგი, აგრეთვე ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული/მისაღები (მათ შორის, დისკონტის, საკომისიოს ან/და სარგებლის სახით მიღებული/მისაღები) ნებისმიერი სახის წინასწარ განცხადებული (დადგენილი) შემოსავალი.

ამასთანავე, მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სსკ-ის 130-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს დივიდენდების დაბეგვრას გადახდის წყაროსთან. აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი მე-8 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ 2023 წლისა და შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგებიდან გაცემული დივიდენდი არ დაიბეგრება გადახდის წყაროსთან დასაკავებელი 5-პროცენტიანი გადასახადით და ასევე, დივიდენდის მიმღები პირის მიერ ამგვარად მიღებული დივიდენდი ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

სსკ-ის 309-ე გარდამავალ მუხლს დაემატა ახალი 94¹, 95¹ და 95² ნაწილები. აღნიშნული ცვლილებებით სადაზღვევო ორგანიზაციები მოგების გადასახადის ახალ ე.წ. ესტონურ მოდელზე გადავლენ 2024 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო ამ თარიღამდე დასაბეგრი ოდენობა და გამოსაქვითი ხარჯები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2024 წლის პირველ იანვრამდე სადაზღვევო ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის
- 2024 წლის პირველ იანვრამდე იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს ლიცენზირებულ სადაზღვევო საქმიანობას, უფლება აქვს, საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გაანგარიშებული იმავე საანგარიშო პერიოდის „სადაზღვევო/დამდგარი ბარალები, ნეტო“, გარდა შემოსავლისა, რომელიც წარმოშობილია რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან.



სოფლის მეურნეობის სფეროსთვის დადგენილი საგადასახადო შეღავათების მოქმედების ვადის გაგრძელება

საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სოფლის მეურნეობის სფეროსთვის დადგენილ საგადასახადო შეღავათებს, რომლის მოქმედებაც განსაზღვრული იყო 2023 წლის პირველ იანვრამდე, მოქმედების ვადა გადაეწია 2026 წლის პირველ იანვრამდე. შეგახსენებთ აღნიშნული სფეროსთვის დაწესებულ შეღავათებს, რომლებიც ცვლილების თანახმად იმოქმედებს 2026 წლის პირველ იანვრამდე:

- სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის “ლ” ქვეპუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200,000 ლარს არ აღემატება.

- სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის “ც” ქვეპუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200,000 ლარს არ აღემატება, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან.
- სსკ-ის 99-ე მუხლის, პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით, კერძოდ, რეზიდენტი საწარმოს მიერ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა და ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. სსკ-ის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა.
- სსკ-ის 130-ე მუხლის 4¹ ნაწილის თანახმად, დივიდენდების გადახდის წყაროსთან დაბეგვრის ნაწილში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისგან მიღებული დივიდენდები (გარდა იმ დივიდენდებისა, რომლებიც მიღებულია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან) გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.
- სსკ-ის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჯ“¹ ქვეპუნქტის თანახმად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით პერიოდის გაზრდა 2026 წლამდე



საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ზემოთ მოცემული ცვლილების თანახმად, სოფლის მეურნეობის სფეროს შეღავათების მსგავსად სხვა საკანონმდებლო ნორმების მოქმედების ვადაც გადაიწია 2026 წლის პირველ იანვრამდე, მაგალითად საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების ვადა, რომელიც დადგენილია ფიზიკური პირის მიერ პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, რომელიც წარმოშობილია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან.



სხვა ცვლილებები კანონში

საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა

2022 წლის 13 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება შეეხო სსკ-ის 286 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევას და შესაბამის სანქციას საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და აღურიცხველობისთვის. ცვლილების შედეგად, აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი ნაწილები, რომლებიც ეხება სამეწარმეო საქმიანობისთვის რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების, მყიდველის მიერ სასაქონლო ზედნადების მოთხოვნისას მისი გაუცემლობის ან საქონლის შექმნისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომებს და მასთან დაკავშირებულ განმარტებებს, კერძოდ:



აღნიშნული ფაქტები, იწვევს პირის დაჯარიმებას 1,000 ლარის ოდენობით, ხოლო ამ ქმედებების განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 15,000 ლარის ოდენობით. მესამედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო დარღვევა - 30,000 ლარის ოდენობით.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 15 მარტიდან.



ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა

2022 წლის 15 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. საქართველოს საგადასახადო კოდექსს დაემატა 70² და 279² მუხლები. ახალი 70² მუხლი განსაზღვრავს „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ცვლილებების შედეგად, საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებს დაეკისრებათ ვალდებულება აწარმოონ ანგარიშების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი სათანადო პროცედურები და ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შემოსავლების სამსახურს. შემოსავლების სამსახურს მიეცემა უფლება, რომ ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ინფორმაცია გადასცეს უცხო ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს და განახორციელოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშების საერთო სტანდარტთან (CRS) დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება და კონტროლი.

ცვლილების თანახმად, 2023 წლის პირველი იანვრიდან, ფინანსურ ინსტიტუტებს წარმოეშობათ ვალდებულება აწარმოონ ანგარიშების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი სათანადო პროცედურები და ამავე სტანდარტით და ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოში განსაზღვრული წესების დაცვით უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება შემოსავლების სამსახურისათვის, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 30 ივნისისა.

ახალი 279² მუხლით განისაზღვრა სანქციის ზომები, რომელიც დაეკისრება ფინანსურ ინსტიტუტს, ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძოდ:


- ❗ აღნიშნული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენის ვადის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველი დაგვიანებული დღისთვის 3,000 ლარის ოდენობით (მთელ დაგვიანებულ პერიოდზე სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს).
- ❗ საგადასახდო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა იწვევს პირის დაჯარიმებას 10,000 ლარის ოდენობით, ყოველი შემდგომი განმეორებით ჩადენა - 20,000 ლარის ოდენობით.
- ❗ საგადასახდო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის არასრულად/არასწორად წარდგენა იწვევს პირის დაჯარიმებას 10,000 ლარის ოდენობით (ჯამური თანხა თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს).

მოცემული სამართალდარღვევებისთვის პირს ჯარიმები არ დაეკისრება, თუ იგი დაამტკიცებს, რომ შესაბამისი სამართალდარღვევა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მათ შორის, თუ გამოვლინდება, რომ პირს არ აქვს ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.

ცვლილების თანახმად ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის პირველი იანვრიდან.

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება



2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება შეეხო სსკ-ის 82-ე მუხლს, რომელიც ადგენს ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების შემთხვევებს. ცვლილების თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი უქმდება 2025 წლის პირველი იანვრიდან. აღნიშნული ნაწილი განსაზღვრავს ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლებას.



ცვლილება ბრძანებაში

ზედმეტად გადახდილი დღგ-ის ავტომატურად დაბრუნების წესში ცვლილება

2022 წლის 13 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №405, რომლითაც ცვლილება შევიდა „დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის №42 ბრძანებაში.

ცვლილების თანახმად, აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლს დაემატა მე-2 ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ზედმეტად გადახდილი დღგ-ს თანხის გაანგარიშების ფორმაში, ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა დაექვემდებარება გაანგარიშებაში განულებას, არაუგვიანეს მომდევნო წლის პირველი სამუშაო დღისა. ეს ნიშნავს იმას, რომ 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახადის გადამხდელმა ზედმეტად გადახდილი თანხა უნდა დაიბრუნოს არაუგვიანეს მომდევნო წლის პირველი სამუშაო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ შეძლებს მის დაბრუნებას გამართივებული გზით. მიუხედავად იმისა, რომ ძველი საანგარიშო პერიოდებიდან დაგროვილი დასაბრუნებელი დღგ-ის ზედმეტობა ავტომატური დაბრუნების მიზნებისთვის წლის ქრილში ექვემდებარება განულებას, მისი დაბრუნება კვლავაც შესაძლებელი იქნება სტანდარტული გზით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლი.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 14 დეკემბრიდან.



საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი

2022 წლის 21 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს შემოსავლების სამსახურის 2022 წლის შვიდი დეკემბრის ბრძანება №30813, რომლითაც ცვლილება შევიდა „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის, გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში.

ცვლილების თანახმად, გადასახადის გადამხდელს შეუძლია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე ნებაყოფლობით გადასვლა ასევე ნაწილობრივ:

- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადამხდელის სრულად გადასვლისას, სპეციალური წესი ვრცელდება მის მიერ გამოწერილ ყველა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე
- გადამხდელის სპეციალურ წესზე ნაწილობრივ გადასვლისას ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის სპეციალური წესი გავრცელდება მხოლოდ მის მიერ შერჩეულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადამხდელის ნაწილობრივ გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს ნებაყოფლობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადასახადის გადამხდელი სრულად გადასულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე.

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესით ნაწილობრივ სარგებლობის ფარგლებში გადამხდელს აღიარებული საგადასახადო დავალიანება დაუფიქსირდება 25,000 ლარის ან მეტი ოდენობით, გადამხდელი სრულად გადავა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის რვა დეკემბრიდან.



მოგების გადასახადის მარტის საანგარიშო პერიოდის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესი

2022 წლის ექვს დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რის მიხედვითაც სავალდებულო გახდა მარტის თვის საანგარიშო პერიოდზე მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის წარდგენისას „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და ძირითადი საშუალებების ნაშთი“-ის დანართში შემდეგი გრაფების შევსება:

■ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი წლის ბოლოს

■ ძირითადი საშუალებების ნაშთი წლის ბოლოს.

- ○
-
-
-
-
-
-



აღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წლის საანგარიშო პერიოდიდან ხსენებული გრაფების შევსების გარეშე შეიზღუდება მოგების გადასახადის მარტის თვის დეკლარაციის გადაგზავნა.



საჯარო გადაწყვეტილება

საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლება



2022 წლის პირველ დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 28 ნოემბრის საჯარო გადაწყვეტილება №387, რომელიც აზუსტებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის “უ” ქვეპუნქტის გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, მის სამრეწველო

- გადამამუშავებამდე, ანუ სასაქონლო კოდის შეცვლამდე
- გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით.

დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მიზნებისთვის, საჯარო გადაწყვეტილებაში განხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემდეგი სახეები:


- დაკლული ცხოველის მიწოდება
- იმპორტირებული ბიოლოგიური აქტივის ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება
- გამოშიგნული (ახალი), ცოცხალი, გაცივებული ან გაყინული თევზის მიწოდება
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფუთული/დაფასოებული სახით მიწოდება.

⚠ მოცემული საჯარო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ დღგ-ისგან გათავისუფლება შეეხება ზემოთ მოცემული ყველა პროდუქტის მიწოდებას, გარდა გაყინული თევზისა (0304 სასაქონლო კოდი), თევზის ფილეს და თევზის ხორცის გამოკლებით), რადგან ჩაითვალება, რომ ეს პროდუქტი მიიღება სამრეწველო გადამამუშავების შედეგად და ეცვლება სეს ესნ სასაქონლო კოდი.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 14 დეკემბრიდან.

ახალი საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბი

2022 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სიახლე, ახალი საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბის შესახებ. 2023 წლის პირველი იანვრიდან ხელმისაწვდომი გახდა infohub.rs.ge. ეს არის უახლესი, ციფრული მოთხოვნების შესაბამისი, საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბი, რომელიც ჯერჯერობით სატესტო რეჟიმში მუშაობს. მისი დახმარებით, ყველა მომხმარებლისთვის ინფორმაცია კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ხდება, ხოლო თავად ინფორმაციის მიღების პროცესი მნიშვნელოვნად გამარტივდება.



აღნიშნულ ჰაბზე განთავსებულია და მუდმივად განახლებადია როგორც საგადასახადო, ასევე საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის: საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მეთოდური მითითებები, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების და სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა.

Infohub-ის შექმნის პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით განხორციელდა.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას ცვლილებების შესახებ საგადასახადო კოდექსში, სხვა ცვლილებებს კანონსა და ბრძანებაში, ასევე სატარო გადაწყვეტილებას.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

► ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.